

**განმარტებითი ბარათი
„სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია სათამაშო ბიზნესის გადასახადის გაუქმება და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ცალკე კანონად ჩამოყალიბება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია კანონმდებლობით დარეგულირდეს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდევინების სფერო.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ეს კანონი განსაზღვრავს კანონით დადგენილ სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით დაწესებული მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, მათი გადახდევინების წესსა და ვადებს. გასათვალისწინებელია, რომ სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადახდის ვადების (ყოველთვიურად) ნაცვლად შემოთავაზებულია ყოველკვარტალური გადახდა და შესაბამისად განაკვეთებიც გაზრდილია 3 –ჯერ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიებას არ მოითხოვს.

ბ.ბ) კანონპროექტის გაფლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

აღნიშნული კანონის ამოქმედებით მოსალოდნელი არაა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვლილება.

ბ.გ) კანონპროექტის გაფლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება დამატებითი ფინანსურ ხარჯებს ბიუჯეტიდან არ მოითხოვს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფო ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ იღებს.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ეხება გადასახადის და/ან მოსაკრებლის განაკვეთებს.

ბ.ვ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას სათამაშო ბიზნესის სფეროში მოღვაწე პირების ფინანსურ შედეგებზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.